საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-1012

ქ. თბილისი

05/07/2021

კასპის მუნიციპალიტეტში, შპს „კერამიკა ელ ტორენტე +“-ის აგურის წარმოებაზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის და ამავე კოდექსის II დანართის მე-5 პუნქტის 5.7 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს კასპის მუნიციპალიტეტში, შპს „კერამიკა ელ ტორენტე +“-ის აგურის წარმოებაზე სკოპინგის დასკვნა N30 (02.07.2021);
2. შპს „კერამიკა ელ ტორენტე +“ ვალდებულია გზშ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს N30 (02.07.2021) სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „კერამიკა ელ ტორენტე +“-ს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „კერამიკა ელ ტორენტე +“-ის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკოპინგის დასკვნის გაცემიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და კასპის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი